# თავი 27

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

**1. თუკი კომპანია ფლობს ინვესტირებულ კომპანიაში 50%-იან წილს და კონტროლის უფლების 60%-ს, მაშინ ინვესტიცია ინვესტორის აღრიცხვაში აისახება:**

ა) წილობრივი მეთოდით;

ბ) ჯერ შეძენის ღირებულებით, ხოლო შემდეგ ინვესტიციის ღირებულება იცვლება საინვესტიციო კომპანიის ინვესტირებულ კომპანიაში წილის ცვლილების შესაბამისად;

გ) ორივე პასუხი სწორია.

**2. უმცირესობის წილი არის:**

ა) სააქციო კაპიტალის წილი, რომელიც ეკუთვნით ძირითადი კომპანიის აქციების მცირე ნაწილის მფლობელებს;

ბ) შვილობილი კომპანიის აქტივების ის ნაწილი, რომელიც მოდის წილზე, რომელსაც ძირითადი კომპანია არ ფლობს პირდაპირ ან ირიბად შვილობილი კომპანიების გზით;

გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**3. სამართლიანი ღირებულება არის:**

ა) საბალანსო ღირებულება;

ბ) შენაძენის ფაქტიური ღირებულება;

გ) თანხა, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს აქტივი ან რომლითაც შეიძლება დაიფაროს ვალდებულება გარიგების განხორციელებისას, ამ ოპერაციის შესრულებაში კარგად გარკვეულ მხარეებს შორის.

**4. კომპანიის საქმიანობა, რომლის გამოც უნდა მოხდეს კონსოლიდაცია არის:**

ა) ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში;

ბ) თანამშრომლების გადაყვანა ერთ კომპანიიდან მეორეში;

გ) კომპანიების მიერ საწარმოო ფართების ერთობლივი არენდა.

**5. კონსოლიდაცია აისახება:**

ა) ძირითადი კომპანიის ბალანსში;

ბ) კომპანიების ჯგუფის ბალანსში;

გ) ორივე ზემოდ ნახსენებ ბალანსებში.

**6. გუდვილი წარმოქმნილი კონსოლიდაციის პერიოდში:**

ა) გამოირიცხება კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან;

ბ) აისახება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში;

გ) არც აერთი პასუხია სწორი.

**7. კონსოლიდაციის პროცესში ერთერთი განსახორციელებელი ამოცანა არის გამოირიცხოს:**

ა) ძირითადი კომპანიის ბალანსში ასახული შვილობილ კომპანიაში ინვესტიცია და შვილობილ კომპანიის ბალანსში კრედიტორული დავალიანების მუხლი;

ბ) ძირითადი კომპანიის ბალანსში ასახული შვილობილ კომპანიაში ინვესტიცია და შვილობილ კომპანიის ბალანსში აქციონერული კაპიტალის მუხლი.

გ) ორივე პასუხი მცდარია

**8. გუდვილი არის:**

ა) ინვესტიციების დანახარჯების დაფარვა აქციებით და არა ფულადი საშუალებებით;
ბ) საწარმოს ყიდვისას, სხვაობა რომელიც წარმოიშობა შეძენის ღირებულებასა და შვილობილი კომპანიის აქტივების სუფთა საბაზრო ღირებულებას შორის;
გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**9. უმცირესობის წილის განსაზღვრისათვის საჭიროა:**

ა) აქტივების და პასივების იმ ნაწილის შერწყმა, რომელიც ეკუთვნის ძირითად საწარმოს;
ბ) შვილობილი კომპანიის ყველა აქტივების და პასივების შერწყმა, და შემდეგ უმცირესობის წილის გამოყოფა;
გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**ამოცანა №1**

**ა) შეძენა ფულადი საშუალებებით გადახდით**

მოამზადეთ ძირითადი კომპანიის და კომპანიების ჯგუფის ბალანსი შეძენის შემდეგ

**ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი (შეძენამდე)**

| **აქტივი** | | **პასივი** | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 600 | კრედიტორული დავალიანება | 1000 |
| დებიტორული დავალიანება | 1000 | | |
| ინვესტიციები | 200 | დარიცხვები | 300 |
| ძირითადი საშუალებები | 200 | აქციონერთა კაპიტალი | 700 |
| | 2000 | | 2000 |

**შვილობილი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი**

| **აქტივი** | | **პასივი** | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 200 | კრედიტორული დავალიანება | 900 |
| დებიტორული დავალიანება | 100 | | |
| ინვესტიციები | 400 | აქციონერთა კაპიტალი | 300 |
| ძირითადი საშუალებები | 500 | | |
| | 1200 | | 1200 |

**შეძენა ფულადი სახსრებით გადახდით**

შვილობილი კომპანია შეძენილი იქნა **300 პირ. ერთეულად**. შვილობილი კომპანიის სუფთა აქტივები შეადგენს **300 პირ. ერთ.** = **1200 პირ. ერთ.** (აქტივების საერთო ღირებულება) – **900 პირ. ერთ.** (ვალდებულებების საერთო ღირებულება).
შესაბამისად ძირითადი საწარმო იხდის **1პ.ერთ.** აქტივების ყოველ **1პ.ერთ-ზე.**

(შედეგები შეიტანეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შესაბამისი მუხლების მიხედვით)

**ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი (შეძენის შემდეგ)**

| **აქტივი** | **პასივი** |
|---|---|
| ფულადი სახსრები | კრედიტორული დავალიანება |
| დებიტორული დავალიანება | |
| ინვესტიციები | დარიცხვები |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში | |
| ძირითადი საშუალებები | აქციონერთა კაპიტალი |

| კომპანიების ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი | |
|---|---|
| **აქტივი** | **პასივი** |
| ფულადი სახსრები | კრედიტორული დავალიანება |
| დებიტორული დავალიანება | |
| ინვესტიციები | დარიცხვები |
| ძირითადი საშუალებები | აქციონერთა კაპიტალი |

**შენიშვნა:** ფულადი სახსრები =

დებიტორული დავალიანება =

ინვესტიციები =

ძირითადი საშუალებები =

კრედიტორული დავალიანება =

**ამოცანა №2**

## 1. გუდვილი

შადგინეთ ძირითადი კომპანიის და კომპანიების ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი შეძენის შემდგომ.

**ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი შეძენამდე**

| **აქტივი** | | **პასივი** | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 500 | კრედიტორული დავალიანება | 1200 |
| მარაგი | 1000 | | |
| ინვესტიციები | 200 | | |
| ძირითადი საშუალებები | 100 | აქციონერთა კაპიტალი | 600 |
| | 1800 | | 1800 |

**შვილობილი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი**

| **აქტივი** | | **პასივი** | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 20 | კრედიტორული დავალიანება | 300 |
| მარაგი | 350 | | |
| ინვესტიციები | 50 | | |
| ძირითადი საშუალებები | 50 | აქციონერთა კაპიტალი | 170 |
| | 470 | | 470 |

შვილობილი კომპანია შეძენილია 450 პ.ერთ. (გადახდა მოხდა ფულადი სახსრებით). შვილობილი კომპანიის ინვესტიციებისა და ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება შესაბამისად შეადგენს: 70 და 60 პ. ერთეულს.

(შედეგები შეიტანეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შესაბამისი მუხლების მიხედვით)

**ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი (შეძენის შემდეგ)**

| **აქტივი** | **პასივი** |
|---|---|
| ფულადი სახსრები | კრედიტორული დავალიანება |
| მარაგი | |
| ინვესტიციები | |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში | აქციონერთა კაპიტალი |
| ძირითადი საშუალებები | |

**კომპანიების ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი (შეძენის შემდეგ)**

| **აქტივი** | **პასივი** |
|---|---|
| ფულადი სახსრები | კრედიტორული დავალიანება |
| მარაგი | |
| ინვესტიციები | |
| ძირითადი საშუალებები | აქციონერთა კაპიტალი |
| გუდვილი | |

***შენიშვნა:*** ფულადი სახსრები =

მარაგი =

ინვესტიციები =

ძირითადი საშუალებები =

გუდვილი =

კრედიტორული დავალიანება =

**ამოცანა №3**

**შეძენა ფულადი სახსრებით გადახდით და უმცირესობის წილი**

შეადგინეთ ძირითადი კომპანიის და კომპანიათა ჯგუფის ბუღალტრული ბალანსები შეძენის შემდეგ

**ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი (შეძენამდე)**

| **აქტივი** | | **პასივი** | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 800 | კრედიტორული დავალიანება | 1300 |
| მარაგი | 1000 | | |
| ინვესტიციები | 200 | დარიცხვები | 300 |
| ძირითადი საშუალებები | 100 | აქციონერთა კაპიტალი | 500 |
| | 2100 | | 2100 |

**შვილობილი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი**

| **აქტივი** | | **პასივი** | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 350 | კრედიტორული დავალიანება | 300 |
| მარაგი | 400 | | |
| ინვესტიციები | 100 | | |
| ძირითადი საშუალებები | 50 | აქციონერთა კაპიტალი | 600 |
| | 900 | | 900 |

ძირითადი კომპანია იძენს შვილობილი კომპანიის სააქციო კაპიტალის 75%-ს **450 პ.ერთ.** (გადახდა წარმოებს ფულადი სახსრებით)

(შედეგები შეიტანეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შესაბამისი მუხლების მიხედვით)

**ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი (შეძენის შემდეგ)**

| **აქტივი** | **პასივი** |
|---|---|
| ფულადი სახსრები | კრედიტორული დავალიანება |
| მარაგი | დარიცხვები |
| ინვესტიციები | აქციონერთა კაპიტალი |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში | |
| ძირითადი საშუალებები | |

**კომპანიების ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი**

| **აქტივი** | **პასივი** |
|---|---|
| ფულადი სახსრები | კრედიტორული დავალიანება |
| მარაგი | დარიცხვები |
| ინვესტიციები | უმცირესობის წილი |
| ძირითადი საშუალებები | აქციონერთა კაპიტალი |

***შენიშვნა:*** ფულადი სახსრები =

მარაგი =

ინვესტიციები =

ძირითადი საშუალებები =

კრედიტორული დავალიანება =

უმცირესობის წილი=

**ამოცანა №4**

**შეძენა ფულადი სახსრებით გადახდით, უმცირესობის წილი და გუდვილი**

შეადგინეთ ძირითადი კომპანიის და კომპანიათა ჯგუფის ბუღალტრული ბალანსები შეძენის შემდეგ

**ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი შეძენამდე**

| **აქტივი** | | **პასივი** | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 1750 | კრედიტორული დავალიანება | 950 |
| მარაგი | 800 | | |
| ინვესტიციები | 100 | დარიცხვები | 300 |
| ძირითადი საშუალებები | 100 | აქციონერთა კაპიტალი | 1500 |
| | 2750 | | 2750 |

**შვილობილი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი**

| აქტივი | | პასივი | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 20 | კრედიტორული დავალიანება | 300 |
| მარაგი | 1100 | | |
| ინვესტიციები | 100 | | |
| ძირითადი საშუალებები | 80 | აქციონერთა კაპიტალი | 1000 |
| | 1300 | | 1300 |

ძირითადი კომპანია იძენს სააქციო კაპიტალის 60%-ს 1000 პირ. ერთეულით. ადახდა წარმოებს ფულადი სახსრებით. შვილობილ კომპანიაში ინვესტიციებისა და ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება შესაბამისად შეადგენს 180 და 110 პირობით ერთეულს.

(შედეგები შეიტანეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შესაბამისი მუხლების მიხედვით)

**ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი (შეძენის შემდეგ)**

| აქტივი | პასივი |
|---|---|
| ფულადი სახსრები | კრედიტორული დავალიანება |
| მარაგები | |
| ინვესტიციები | დარიცხვები |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში | |
| ძირითადი საშუალებები | აქციონერთა კაპიტალი |

**კომპანიების ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი**

| აქტივი | პასივი |
|---|---|
| ფულადი სახსრები | კრედიტორული დავალიანება |
| მარაგი | დარიცხვები |
| ინვესტიციები | უმცირესობის წილი |
| ძირითადი საშუალებები | აქციონერთა კაპიტალი |
| გუდვილი | |

**შენიშვნა:** ფულადი სახსრები =

მარაგი =

ინვესტიციები =

ძირითადი საშუალებები =

გუდვილი =

კრედიტორული დავალიანება =

უმცირესობის წილი =

**ამოცანა №5**

**კომპანიათა ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი შეძენის შემდეგ, შეძენის პერიოდის ბოლოს.**

შეადგინეთ კომპანიათა ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი შეძენის შემდეგ შეძენის პერიოდის ბოლოს. ძირითადმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანიის სააქციო კაპიტალის 2/3 – **360 პ.ერთ**. (გადახდა წარმოებს ფულადი სახსრებით). შვილობილი საწარმოს სუფთა აქტივების რეალური ღირებულება ტოლია მისი საბალანსო ღირებულების

**ძირითადი კომპანიის ბუღ. ბალანსი შეძენის შემდეგ (შეძენის თარიღისათვის)**

**შვილობილი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი**

| **აქტივი** | | **პასივი** | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 20 | კრედიტორული დავალიანება | 300 |
| მარაგები | 400 | აქციონერთა კაპიტალი | |
| ინვესტიციები | 100 | გამოშვებული აქციონერული კაპიტალი | 100 |
| ძირითადი საშუალებები | 50 | გაუნაწილებელი მოგება | 120 |
| | | სხვა რეზერვები | 50 |
| | 570 | | 570 |

შეადგინეთ კომპანიათა ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი შეძენის თარიღისათვის და შედეგები ჩაწერეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში შესაბამისი მუხლების მიხედვით.

**კომპანიათა ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი შეძენის თარიღისათვის**

| **აქტივი** | **პასივი** |
|---|---|
| ფულადი სახსრები | კრედიტორული დავალიანება |
| მარაგები | დარიცხვები |
| ინვესტიციები | უმცირესობის წილი |
| ძირითადი საშუალებები | აქციონერთა კაპიტალი |
| გუდვილი | გაუნაწილებელი მოგება |
| | სხვა რეზერვები |

**მოცემულის ბუღალტრული ბალანსები შეძენის პერიოდის ბოლოს:**

შეძენის შემდეგ ძირითადმა კომპანიამ მიიღო მოგება **600 პ.ერთ.**, ხოლო შვილობილი კომპანიის მოგება შეადგენს **300 პ.ერთ.**-ს. **200 პ.ერთ**. შვილობილი კომპანიის მოგებიდან გამოიყო სხვა რეზერვებისათვის.

**ძირითადი კომპანიის ბუღ. ბალანსი შეძენის პერიოდის ბოლოს**

| **აქტივი** | | **პასივი** | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 200 | კრედიტორული დავალიანება | 860 |
| მარაგები | 1400 | დარიცხვები | 300 |
| ინვესტიციები | 200 | აქციონერთა კაპიტალი | 300 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში | 360 | გაუნაწილებელი მოგება | 750 |
| ძირითადი საშუალებები | 100 | სხვა რეზერვები | 50 |
| | 2260 | | 2260 |

შეადგინეთ კომპანიათა ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი შეძენის პერიოდის ბოლოს და შედეგები ჩაწერეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში შესაბამისი მუხლების მიხედვით.

**შვილობილი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი**

| **აქტივი** | | **პასივი** | |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები | 220 | კრედიტორული დავალიანება | 200 |
| მარაგები | 400 | აქციონერთა კაპიტალი | |
| ინვესტიციები | 100 | გამოშვებული აქციონერული კაპიტალი | 100 |
| ძირითადი საშუალებები | 50 | გაუნაწილებელი მოგება | 220 |
| | | სხვა რეზერვები | 250 |
| | 770 | | 770 |

**კომპანიების ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი შეძენის პერიოდის ბოლოს**

| **აქტივი** | **პასივი** |
|---|---|
| ფულადი სახსრები | კრედიტორული დავალიანება |
| მარაგები | დარიცხვები |
| ინვესტიციები | უმცირესობის წილი |
| ძირითადი საშუალებები | აქციონერთა კაპიტალი |
| გუდვილი | გაუნაწილებელი მოგება |
| | სხვა რეზერვები |

**შენიშვნა:** ფულადი სახსრები =

მარაგები =

ინვესტიციები =

ძირითადი საშუალებები =

გუდვილი =

კრედიტორული დავალიანება =

უმცირესობის წილი =

გაუნაწილებელი მოგება =

სხვა რეზერვები =